გიორგი მაისურაძე

KILL თბილისი

ავტორის ილუსტრაციებით

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

გიორგი მაისურაძე
KILL თბილისი
რომანი

პირველი გამოცემა
თბილისი, 2013

ტექსტი და ილუსტრაციები © გიორგი მაისურაძე, 2013
ყველა უფლება დაცულია.

ყდის დიზაინერი: **თამუნა თათელაძე**
დამკაბადონებელი: **თინათინ ბერბერაშვილი**

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-876-6

Giorgi Maisuradze
KILL TBILISI

© Giorgi Maisuradze, 2013
All rights reserved.

Cover design by **Tamuna Tateladze**

Published by Sulakauri Publishing
Tbilisi, Georgia, 2013

www.sulakauri.ge

სარჩევი

პროლოგი 7

წიგნი პირველი | ცრუ თბილისი 9

ვახტანგ გორგასალი 11

ორფეოსი 19

SOLVE ET COAGULA 28

წიგნი მეორე | ნამდვილი თბილისი 31

ოლიმპიური ცეცხლი 33

ორ ტბას შუა 37

მეორე ლეგენდა.
საბაგირო გზის სადგური ნუცუბიძის ქუჩაზე 42

წიგნი მესამე | დაკარგული თბილისი 51

ანგელოზთა პირველი შემოსევა 53

რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი
სერგო ორჯონიკიძის ცხოვრებიდან 63

დაკარგული სამოთხე 72

წიგნი მეოთხე |
გუდიაშვილის მოედნის საიდუმლოებები 83

ფროიდის აღმოჩენა 85

გუდიაშვილის მოედნის საიდუმლოება 92

სისხლისა და ცეცხლის წვიმეები 98
ORA ET LABORA 111
ისიდას ძღვენი 121
წიგნი მეხუთე | დაბრუნებული თბილისი 125
ანგელოზების მეორე შემოსევა 127
თბილისის ომი 140
ვესტბუკეფალიის მშვიდობა 153
ეპილოგი 168

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.“

შოთა რუსთაველი

პროლოგი

მაგიური კვადრატი

ერთხელ, საღამოს ჩაფიქრებული ვიჯექი კედელზე მიყუდებულ კიბესთან, მარცხენა ხელზე თავჩამოდებულს მარჯვენაში მეჭირა რკინის ფარგალი და გრაგნილ ქაღალდზე ვაპირებდი წრის შემოხაზვას, როცა უეცრად ბინდმოდებული ცა გადანათდა და ჩემ უკან გაისმა საყვირივით ხმა, რომელმაც მითხრა: „ნუ კრთი, არამედ მიცქირე და გახსენი რვა ასო-რიცხვის იდუმალება ანიდან ჰოემდე და განცხადება უხილავი და უთქმელი და რასაც ისმენ და იხილავ, დაწერე წიგნში!“

და რომ მივბრუნდი, დავინახე ადამიანი, რომელსაც წითელი პერანგი ემოსა ტანზე, ხოლო ქამრად გველისებრი არსება შემოხვეოდა, რომელიც საკუთარ კუდს ჭამდა. და როცა გახსნა ბროწეულის მარცვლისფერი ბაგეები, მისი პირიდან შავი ყურძნის მტევანი გამოიზარდა, რომლის მარცვლები ვარსკვლავებად დაიშალნენ და ცაზე დასხდნენ.

და ერთი წამი იქცა ექვს დღედ და ერთ ღამედ და თორმეტი ვარსკვლავიდან ათი ჩამოცვივდა თვალის ერთ დახამხამებაში, ნისანის თვის თოთხმეტ რიცხვში, დილის ათ საათზე.

წიგნი პირველი | ცრუ თბილისი

ვახტანგ გორგასალი

ეპიზოდი №1: მგლის თავზე სახარების კითხვა

ვახტანგ გორგასალმა შვიდი წელი სპარსეთში გაატარა, სადაც ადამიანები ცეცხლს თაყვანს სცემდნენ და ბრძენ ბატონს ადიდებდნენ. ხოლო მერვე წელს ქართლში რომ დაბრუნდა, ვახტანგმა უზნეო ქცევას მიჰყო ხელი, რაც მის ზნეშეცვლილობაზე მიუთითებდა.

ძველ ზნეობაზე რომ დაებრუნებინათ, ოჯახის წევრებმა და ნაცნობ-მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ ვახტანგისათვის ყოველდღე თავზე სახარება ეკითხათ და იმდენი უკითხეს, სანამ მას მეორე თავი არ ამოეზარდა და ამის შემდეგ ქართლში ორთავიანი მეფე მბრძანებლობდა. ვახტანგ გორგასლის ახლად ამოზრდილი თავი მგლისა იყო და ამიტომაც უწოდეს ვახტანგს გორგასალი, რაც მგლისთავიანს ნიშნავს. სახელი „ვახტანგ გორგასალი“ იმას გვეუბნება, რომ მეფეს ორი თავი ჰქონდა: ერთი ადამიანისა, სახელად ვახტანგი, მეორე კი მგლისა – გორგასალი და თავადაც ვახტანგ გორგასალი არა ჩვეულებრივი ჰომინიდი, არამედ ერთადერთი მგელკაცი იყო, რამაც მოგვიანებით ევროპაში სავსე მთვარეზე მგლად გადაქცეულ კაცებზე ლეგენდები წარმოშვა. იმასაც ამბობდნენ, მგლად ქცეული კაცები ყმუილით ვახტანგ გორგასალს ადიდებენო, მის სახელზე ადამიანებს

თავს ესხმიან და მეფის ბრინჯაოს კერპს მსხვერპლად სწირავენო.

- ძველი ქართული გამოთქმა – „მგლის თავზე სახარების კითხვა“ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში გაჩნდა და თავდაპირველად ქართლის ლეგენდარული მეფის ვახტანგად და გორგასლად გაორთავიანებაზე მიანიშნებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ხალხს მეფე გადაავიწყდა და მგლის თავზე სახარების კითხვა ხეპრეობასა და შეუგნებლობას დაუკავშირდა.
- ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში საიდუმლო რელიგია შეიქმნა, სახელად გორგასლიანობა, რომელსაც მგელთაყვანისმცემლობადაც მოიხსენიებდნენ შუა საუკუნეების ქრონიკები და მან ელვის სისწრაფით იწყო გავრცელება ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით ბევრი მიმდევარი გორგასლიანობას კარპატის მთიანეთში გაუჩნდა და ამ ახალმა სარწმუნოებამ აქედან იწყო სვლა დასავლეთ ევროპისაკენ, რამაც ვატიკანი იმდენად შეაშფოთა, რომ პაპმა ურბან II-მ საფრანგეთის ქალაქ კლერმონში, რომლის კატაკომბებშიც პირველ გორგასლიანელებს შეეღწიათ და პირველი ქალვაჟიც შეეწირათ გორგასლის ცხენზე ამხედრებული კერპისათვის, საგანგებო კრება მოიწვია და ევროპელ რაინდებს გორგასალემის მგელთაყვანისმცემელთაგან გაწმენდისაკენ მოუწოდა.

ამ მისტერიული რელიგიის ფუძემდებლობა თავად ვახტანგ გორგასალს მიეწერება, მისი პირველი მოციქული კი ვარსქენ პიტიახში უნდა ყოფილიყო,

რაზეც ფარული მინიშნება აქვს იაკობ ცურტაველს: „ხოლო შემდგომად სამისა დღისა მოვიდა მგელი იგი ვარსქენ“. მგელთაყვანისმცემლობა ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანობის მთავარი კონკურენტი იყო, რის გამოც მას ეკლესია უსასტიკესად ებრძოდა და ამ სარწმუნოების სახელის ხსენებასაც უკრძალავდა ჟამთააღმწერლებს. ამიტომაც იაკობ ცურტაველი, რომელიც გულის სიღრმეში, შესაძლოა, თავადაც მგელთაყვანისმცემელი ყოფილიყო, მხოლოდ მინიშნებით ცდილობდა ვარსქენის ვინაობის გამხელას. სიტყვა „მგელი“ მგელთაყვანისმცემლობაში უმაღლესი ღვთისმსახურის აღმნიშვნელი ტიტული იყო.

ისიც ცნობილია, რომ მეტეხის ტაძარი, რომელიც ვახტანგ გორგასლის ბრძანებით აშენდა, თავდაპირველად მგელთაყვანისმცემელთა რელიგიური ცენტრი იყო, სადაც ყოველ სავსე მთვარეზე გორგასლის მისტერიები თამაშდებოდა. მისტერიის დროს ცხენზე ამხედრებული ვახტანგ გორგასლის ბრინჯაოს კერპს ერთ ქალწულსა და ერთ ჭაბუკს მიაჯაჭვავდნენ და მერე სისხლს სწოვდნენ მთვარის ნათებისგან ექსტაზში ჩავარდნილი და მგლებად გადაქცეული კაცები.

ეპიზოდი № 2: ვახტანგ გორგასლის კბილი

ვახტანგ გორგასლის ორთავიანობა არა მხოლოდ მოწიწებასა და აღტაცებას, არამედ შურსა და ზიზღსაც იწვევდა. განსაკუთრებული ზიზღით ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი გამოირჩეოდა, რომელიც მეფის გაორთავიანებას მის ზნეშეცვლილობას მიაწერდა და ვახტანგისთვის მგლის თავის

მოკვეთას ითხოვდა. არადა, მგლის თავი ისეთივე განუყრელი ნაწილი იყო ვახტანგ გორგასლის ტანისა, როგორიც ადამიანის თავი. უფრო მეტიც, ვახტანგის მგლის თავის დანახვაზე თვით კავკასიის დიდი მთები იწყებდნენ დრეკას, ხოლო თუ ადამიანური თავი დაუზიანდებოდა, მგლისა პირს გახსნიდა და ნერწყვიანი ენით ჭრილობებს უხორცებდა ადამიანის თავს. მთავარეპისკოპოს მიქაელს კი ეგონა, რომ მეფეს ჯადოსნური კბილი ჰქონდა და მასში ინახებოდა მისი უძლეველობის ძალა. ამიტომაც განიზრახა მიქაელმა ვახტანგის დათრობა და მისთვის კბილის ამოღება. ვახტანგი მიუხვდა და ღვინიანი თასი მიქაელს სახეში შეალეწა. მიქაელი მცხეთაში დაბადებულ-გაზრდილი იყო და ხელს ვერავის შეარჩენდა: ის სავარძლიდან წამოიჭრა და ტახტზე განრთხმულ მეფეს წიხლი პირდაპირ სახეში ჰგლიჯა და კბილი ჩაუმტვრია. პირდასისხლიანებული ვახტანგ გორგასალი ტახტიდან წამოხტა, ჩამომტვრეულ კბილს ხელი სტაცა და, მთავარეპისკოპოსს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, მთელი ძალით მოისროლა. ვახტანგ გორგასლის კბილი ხნულებში ჩავარდა, საიდანაც თვალის დახამხამებაში შავანაფორიანი მღვდლები ამოიზარდნენ და მეფეს გამოუდგნენ შესაჩვენებლად. ვახტანგ გორგასალმა ძლივს მოასწრო ცხენზე შემოხტომა და ისე მოკურცხლა მცხეთიდან, რომ დელისის მინდვრებამდე უკან აღარ მიუხედავს.

ვახტანგ გორგასალი ჭენებ-ჭენებით მტკვრის სანაპიროს დაუყვა და იმდენი იჯირითა, სანამ შიმშილმა არ შეაწუხა და მშვილდი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ორთაჭალის ბაღიდან აფრენილ ხოხობს არ დაუმიზნა. ცხენზე ამხედრებული მეფე მეტეხის კლდის ქიმიდან უცქერდა ისრით განგმირული ხოხბის ვარდნასა და მის ხარშვას გოგირდოვან წყალში და გადაწყვიტა, რომ ამ კლდეზე აეშენებინა თავისი

ტაძარი, რომელშიც მგლის თავზე სახარება წაიკითხებოდა და ლოცვა ყოველი აღესრულებოდა. ტაძრის ქვეშ, მტკვრის მარჯვენა მხარეს, სადაც მეფის მიერ ნატყორცნი ისრით გულგანგმირული ხოხობი დაეცა, მეფემ ქალაქის აშენება ბრძანა თავისი ახალი სარწმუნოების – გორგასლიანობის, ანუ მგელთაყვანისმცემლობის ცენტრად და მას სახელად გორგასალემი უწოდა.

- ვახტანგ გორგასალს, კერძოდ, მის მგლის თავს, ჩვევად ჰქონია შეზარხოშებულზე საკუთარივე ადამიანის თავის ლოშნა. ეს სანახაობა, განსაკუთრებით მამაკაცებზე ახდენდა წარუშლელ შთაბეჭდილებას, რომლებისთვისაც მგლის ტუჩების ჩაკოცნა მგლურ სიმამაცედ აღიქმებოდა და ორთავიანი მეფის შემხედვარენი თავადაც ცლიდნენ სასმისს და მერე ერთმანეთს ულოშნიდნენ ტუჩებს. გორგასლის გარდაცვალებისთანავე ეს ქმედება გორგასლიანელთა ინიციაციის რიტუალში იქნა შეტანილი, ხოლო გორგასლიანობის აკრძალვის შემდეგაც შემორჩა და დავიწყებულ რიტუალს პროფანულად „ვახტანგური“ ეწოდა, რომელიც სინამდვილეში მგელთაყვანისმცემლად ზიარებას ნიშნავს.
- ვახტანგ გორგასლისა და მთავარეპისკოპოს მიქაელის კონფლიქტი ჯერ სიტყვიერ და შემდგომ ფიზიკურ ურთიერთშეურაცხყოფაში გადაიზარდა. მთავარეპისკოპოსი მიქაელი, რომელიც იმ დროს ქართლის უმაღლესი სასულიერო პირი იყო, გაუნაწყენდა მეფეს და მას ქრისტეს რჯულის ღალატში დასდო ბრალი: „შენ დაგიტევებიეს ქრისტე და ცეცხლსა ესავ“, – თქვა მთავარეპისკოპოსმა და „კრულ-ყო მეფე და სპანი

მისნი“. მეფის კრულყოფა კი მისი კანონგარეშედ გამოცხადებისა და დამხობისაკენ მოწოდების ტოლ-ფასი იყო. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ვახტანგ გორგასალი იძულებული გახდა ხლებოდა მიქაელ მთავარეპისკოპოსს და მისთვის ფეხები დაეკოცნა. და ის-ის იყო, ვახტანგი მოიხარა და ტუჩები მიქაელის ფეხისკენ მიმართა, რომ მთავარეპისკოპოსმა „გან-ძრა ფერხი და მიამთხვია პირსა მეფისასა და შემუს-რა კბილი“. ეს წიხლი-კრივი საბოლოოდ ქართლიდან მიქაელის გაძევებით დასრულდა. ამ მონათხრობიდან სრულიად გაურკვეველია, რატომ შემოუწყრა ეპის-კოპოსი მეფეს და თავისი წყრომაც ეგზომ არასული-ერი ქმედებით რატომ გამოხატა. „მოქცევაი ქართლი-საი“ იმავე ამბავს კიდევ უფრო გაუგებრად გადმოს-ცემს, თუმცა მასში უფრო ცხადადა ჩანს მინიშნებები ფარულ მიზეზებზე: მთავარეპისკოპოსმა მიქაელმა „მიამრთხუია ფერხი გორგასალსა რომელისამე მიზეზისთვის და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისა და განიზრახავდა მრავალთა ბოროტთა დამხობად ქრისტიანობისა. არამედ ღმერთმან, რო-მელსა არავისი ჰნებავს წარწყმედაი, მიუვლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაი, აღდგა და განიპყრა ხელნი თვისნი ღმრთისა მიმართ და თქუა: ‚დიდებაი შენდა ქრისტე ღმერთო, რაიმე არს საქმე ესე?’ და ვაებაი მისცა მტერსა და მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრეარქ-ისაგან კათალიკოზი“. „რომელისამე მიზეზისათვის“, ანუ სრულიად გაუგებარი მიზეზით, ვახტანგ მეფეს

მთავარეპისკოპოსმა პირში წიხლი ჩაარტყა, რამაც ვახტანგი ისე განარისხა, რომ უკვე ქრისტიანობის ალაგმვას აპირებდა, მაგრამ ღმერთმა კეთილი განზრახვა მიუვლინა მის გულს და მეფემაც ეკლესიის ახალი მეთაურის – კათალიკოსის ყოლის ნებართვა ითხოვა კეისრისა და პატრიარქისაგან. ამ ისტორიაში კიდევ უფრო მეტად რთულდება ლოგიკური კავშირის შესაძლებლობაც კი მეფის ჩაწიხლვასა და კათალიკოსობის დაწესებას შორის. ერთადერთი ფაქტი მთელ ამ ისტორიაში ვახტანგ მეფის ჩამტვრეული კბილია, რომლიდანაც ქართლში კათალიკოსობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აღმოცენდა. „მოქცევაი ქართლისაის“ მინიშნებებს თუ ჩავუღრმავდებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეფისა და მთავარეპისკოპოსის შეხლა-შემოხლის ამბავში დეფორმირებული და გაყალბებული სახით ვახტანგ გორგასლის მიერ ახალი საიდუმლო სარწმუნოების – მგელთაყვანისმცემლობის შექმნის ისტორიაა მოთხრობილი, რომელიც საეკლესიო პროპაგანდამ გამოგონილი ისტორიებითა და ლეგენდებით შეცვალა, რათა ჭეშმარიტება დაეფარა და დავიწყებისათვის მიეცა. ამგვარ გაყალბებებს კი საბედისწერო შედეგებიც მოჰყვა.

ეპიზოდი № 3: საბედისწერო გაუგებრობა

ვახტანგ გორგასლის საბედისწერო ნადირობის ცრუ ისტორიებმა დღევანდელი აბანოთუბნის მიდამოებში თბილისად წოდებული ქალაქის არა მხოლოდ დაარსება, არამედ 1795 წელს მისი დანგრევაც გამოიწვია. ერთ-ერთი ლეგენ-

დის თანახმად, ვახტანგის მიერ მოკლული და გოგირდიან წყალში ჩათუთქული ხოხობი უკვე ჩახოხბილად მიერთმიათ მეფისათვის, როდესაც სრულიად მოულოდნელად ხოხობი მკვდრეთით აღდგა და გაფრინდა. ამ ამბავმა იმდროინდელი საზოგადოება ერთობ შეაშფოთა და დააბნია: მათ ჩახოხბილი ხოხბის აღდგომას ვერც ქრისტიანული, ვერც მაზდეანური და ვერც სხვა ოფიციალურად აღიარებული და საქვეყნოდ ცნობილი რელიგიების სწავლებათა მიხედვით ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს და გადაწყვიტეს, თბილისის დაარსების ლეგენდიდან ამოეშალათ. მხოლოდ ერთმა უსახელო მოგვმა, რომელიც, სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასლის მიერ შექმნილი მგელთაყვანისმცემლობის აღმსარებელი უნდა ყოფილიყო, ეს ამბავი აღწერა და თან განმარტება-კომენტარი დაურთო, აბანოთუბნის გოგირდიან წყლებს ისეთი მაგიური ძალა აქვს, რომ მოკვეთილ ასოს აღადგენსო. ამით უსახელო მოგვს სინამდვილეში სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა: მგელთაყვანისმცემელთა სწავლებაში აბანოთუბნის გოგირდიანი წყლები ვახტანგ გორგასლის შარდია, რომელსაც სავსე მთვარის მისტერიების დროს მსხვერპლად შეწირული და სისხლისგან დაცლილი ქალწულის გაცოცხლება შეუძლია. თუ სამსხვერპლოდ უმანკო ჭაბუკს ცლიდნენ სისხლისგან, მას საამისოდ პენისს ჰკვეთდნენ და იარიდან ეწაფებოდნენ მის სისხლს ექსტაზში გამგელებულნი. გორგასლიანელი მოგვის ხელნაწერის სპარსული თარგმანი შემთხვევით ყაჯართა საგვარეულო არქივში უპოვია საჭურის აღა-მაჰმად-ხანს და თბილისისკენ გამოეშურა თავისი ამალით, მაგრამ ქართველებმა ვერ გაუგეს და იარაღით ხელში დახვდნენ; ირანის შაჰიც იძულებული გახდა, თბილისი ძალის გამოყენებით მოეპოვებინა.